



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-2
12/01/2018

2-07-4-201801121427



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის, მომსახურების და საამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის, მომსახურების და საამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ავთანდილ უგრეხელიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე.
- რომან გოგიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი.
- მამუკა ლეთოდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
- დავით მუშუდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
- სოფიო გვიშიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
- თენგიზ მეშველიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.
- დავით ჩიქოვანი - II სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი

2. სატენდერო კომისიის საქმიანობის, ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- მანუჩარ გუგავა - შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;

- თამარ კვირიკაშვილი - შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
 - მერაბ სალინაძე - სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-საამშენებლო რეგულირების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სატენდერო კომისიის აპარატი წევრი;
 - ფიქრია გოგიძე - შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
3. სატენდერო კომისიის აპარატს უხელმძღვანელოს სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ.
 4. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ, მერის მოადგილეებმა, სტრუქტურული ერთეულების (სამსახურის ხელმძღვანელებმა) შესყიდვის წლიური გეგმის შესაბამისად შესასყიდი ობიექტის (საქონელი, მომსახურეობა, საამშენებლო სამუშაო) შინაარსიდან გამომდინარე აქტიური მონაწილეობა მიიღონ შესყიდვის ობიექტის კანონით გათვალისწინებული ყველა მახასიათებლის განსაზღვრაში, შექმნილ დოკუმენტაციაზე სათანადო ვიზირებით.
 5. სატენდერო კომისიაში საჭიროების მიხედვით მოქმედი წესის შესაბამისად ექსპერტებად და კონსულტანტებად მოწვეული იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
 6. მუნიციპალიტეტის მერიამ, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა, შესყიდვების განყოფილებამ, შესყიდვების წლიური გეგმის გათვალისწინებული ტენდერების შესახებ წერილობით მიმართოს სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს. წერილს თან უნდა ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.
 7. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტის მომზადება.
 8. სატენდერო კომისიამ მუშაობა წარმართოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
 9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 აგვისტოს N2-93 ბრძანება.
 10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
 11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში /ქ. ცაგერი. ასათიანის ქ. # 14

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

